საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის

MES 0 22 0000110243

04/02/2022

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისის კოორდინატორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილის შემდეგ ეტაპზე დაშვების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ'' ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და „ლ“ ქვეპუნქტის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების (N65522; 25/01/2022), საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისის კოორდინატორის პოზიციის დასაკავებლად შექმნილი საკონკურსო დოკუმენტაციის შემსწავლელი კომისიის 2022 წლის 03 თებერვლის N1 ოქმისა და სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის პროფესორი ნუნუ გელდიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (03/02/2022წ; N107538) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისის კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შემდეგ ეტაპზე დაშვებულ იქნეს შემდეგი კონკურსანტი:

- ქეთევან შაშვიაშვილი

2. დაევალოს უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგრანტო ოფისის კოორდინატორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შექმნილ საკონკურსო კომისიას, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბრძანების ასლები გადაეცეს საკონკურსო კომისიის წევრებს;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს (ქ.ხმალაძე);
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეთევან შაშვიაშვილისათვის ბრძანების სათანადო წესით გაცნობა;
6. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების ვებ-გვერდზე განთავსება;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი N41).

სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
მაისურაძე მზია